

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

მწვანეილის სასათბურე წარმოება

1 შესავალი

კვლევა ხორციელდებოდა 2013 წლის ივლისიდან 2014 წლის ივნისამდე პრადის, ცოცხალი ორგანიზმების შემსწავლელი მეცნიერებების ჩეხეთის უნივერსიტეტის (ტროპიკული აგრომეცნიერებების ფაკულტეტი), საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციის - „People in Need“-ის და საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის ერთობლივი თანამშრომლობით. წინამდებარე კვლევა წარმოადგენს რეგიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების ღირებულებათა ჯაჭვის ანალიზის ნაწილს.

კვლევის მიზანია საბაზისო ინფორმაციისა და მონაცემების მოპოვება და ანალიზი პროექტის შემდგომი ეტაპების განსახორციელებლად. პროექტი მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში ხორციელდება „ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოში“ (ENPARD GEORGIA)-ს ფინანსური მხარდაჭერით.

2 მეთოდოლოგია

კვლევითმა ჯგუფმა იხელმძღვანელა მიდგომით, რომელიც იძლევა ერთდროულად რამდენიმე საკითხის შესწავლის შესაძლებლობას. სხვადასხვა სპეციფიკური საკითხის შესაფასებლად განხორციელდა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მონაცემების ტრიანგულაცია. მას შემდეგ, რაც გამოვლინდა განვითარების მაღალი პოტენციალის მქონე ადგილობრივი რვა სექტორი, (ადგილობრივი ექსპერტებისა და ოფიციალურ პირებთან გამოკითხვის შედეგად), განხორციელდა შერჩეული სექტორების დეტალური კვლევა.

კვლევის მიზნებიდან და პროექტის დაფარვის ზონიდან გამომდინარე შეირჩა ქვემოთ ჩამოთვლილი მუნიციპალიტეტები, სადაც გავრცელებულია მწვანეილის სასათბურე მეურნეობები:

- წყალტუბო
- თერჯოლა
- ბაღდადი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება შემდეგ ეტაპებად განხორციელდა:

- 2013 წლის ივლისი - წარმოების სისტემები რვა ძირითადი პროდუქტისათვის იმერეთის 11 მუნიციპალიტეტში;
- 2013 წლის აგვისტო - ბაზრის კვლევა და წარმოების სისტემების ანალიზი პროექტის მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში;
- 2013 წლის ნოემბერი - პირველი პროდუქტისთვის საპილოტე მონაცემების შეგროვება;
- 2014 წლის მარტი-ივნისი - დანარჩენი პროდუქტებისთვის მონაცემების შეგროვება.

ანალიზისთვის ძირითადად გამოყენებული იქნა ფერმერთა ჯგუფის და ინფორმირებული პირების თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები. კვლევის დიზაინი მიზნად

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვისებრივი კვლევა ნაწილობრივ რეპრეზენტატიულია, ასახავს ზოგად სურათს და იძლევა მომაცემებს ყველაზე მეტი სიხშირით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ. მეორადი რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები კი ემყარება სხვადასხვა არსებული და ხელმისაწვდომი კვლევების ერთობლიობას, რომელიც მოიცავს სახელმწიფოს ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებს, საერთაშორისო ორგანიზაციების - FAO-სა და EU-ს მიერ წარმოებულ კვლევებს და ა.შ.


შენიშვნა: რამდენადაც სასათბურე მწვანელების წარმოება პროექტის მიზნობრივი რეგიონებიდან, მხოლოდ იმერეთის რეგიონშია განვითარებული, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია ასახავს მხოლოდ იმერეთში არსებულ მდგომარეობას.

3. სათბურის მწვანელების წარმოება, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი

მწვანელების წარმოება კონტროლირებად პირობებში (პოლიეთილენის სათბურები) ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების სისტემაა რეგიონში. იმდენად რამდენადაც მწვანელების სასათბურე პირობებში წარმოების დრო ნოემბრიდან მაისამდე პერიოდს მოიცავს, ზაფხულის სეზონზე, ფერმერები მწვანელების გარდა სხვა ბოსტნეულსაც აწარმოებენ, სტატისტიკური მონაცემები მომზადებულია ორივე სახის პროდუქტზე ერთობლივად.


საქართველოში, 2013 წელს მწვანელების წარმოებამ ყველაზე მაღან ნიშნულ მიაღწია დაფიქსირდა 205 500 ტონიანი მონაცემი. ბოსტნეულის ერთიან წარმოებაში მწვანელების წონა 6,2%-ია. უკანასკნელი წლების ერთიანი წარმოების ტენდენცია გამოსახულია დიაგრამა #1-ში, სადაც მოცემულია ბოსტნეული წარმოების მოცულობა და მწვანელების წონა, ხოლო დიაგრამა #2 კი ასახავს უშუალოდ მწვანელების წარმოების მოცულობის ტენდენციას. სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს საოჯახო მეურნეობების მიერ, საკუთარი მოხმარებისთვის წარმოებული მწვანელების რაოდენობას.

დიაგრამა 1 -ბოსტნეულის წარმოება (ათასი ტონა) და მწვანელების წილი (%)¹



¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; <http://geostat.ge/>

დიაგრამა 2 . ბოსტნეულის წარმოება (მწვანე ხახვის ჩათვლით), ათასი ტონა²




ფერმერები აწარმოებენ ისეთ მწვანილსა და ბოსტნეულს, რომელიც პოპულარულია და შესაბამისად აქტიურად მოხიმარება ქართული სამზარეულოში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ქართველმა მწარმოებლებმა და ექსპორტიორებმა დაკარგეს თავიანთი ძირითადი ბაზრები და შესაბამისად, უდიდესი ზარალი განიცადეს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო რესურსების ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა და გადამამუშავებელი საწარმოები, ისევე როგორც საირიგაციო სისტემები, ჩამოიშალა (USAID, 2010). შედეგად სახეზეა დაბალ-მოსავლიანობა, გაზრდილი ფასები და ექსპორტთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობები. დღეს აშკარად შეიმჩნევა, რომ ფერმერები თავს იკავებენ მცენარის ახალი თესლის, ან განსხვავებული სახეობის მოყვანის მცდელობისგან, უკეთესი, ან უფრო შესაფერისი სასუქის გამოყენებისგან, ან სათანადო და უფრო სწორი ჰერბიციდების მოხმარებისგან, რათა უფრო ეფექტურად ებრძოლონ სარეველას გავრცელებას და გაზარდონ მოსავალი. ანალოგიურად, არსებობს სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობის სიმცირის პრობლემა, თუმცა ფერმერების მექანიზაციის სხვადასხვა ცენტრმა გარკვეულწილად შეძლო ამ პრობლემის შემსუბუქება. ყოველივე ამის შედეგია ის, რომ ფერმერებს ხშირად კონკურენციას უწევს თურქეთიდან იმპორტირებული იაფი პროდუქტი.

როგორც ეს #2 სქემაზეა ნაჩვენები, მწვანილის წარმოებისთვის ყველაზე შესაფერის რეგიონებს იმერეთი და ქვემო ქართლი წარმოადგენენ. იმერეთის რეგიონში ძირითადად მწვანილის შემდეგ სახეობას აწარმოებენ: კამა, ოხრახუმი, ქინძი და ზაფრანა.


² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; <http://geostat.ge/>

სქემა 2 – ბოსტნეულის წარმოების ზონები საქართველოში (წყარო: USAID, 2011)



წარმოებული მწვანელის შესახებინფორმაცია რეგიონალურ ჭრილში არაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ბოსტნეულის წარმოებას, 2013 წელს ქვეყანაში მოყვანილი ბოსტნეულის 13% იმერეთის რეგიონზე მოდის. ამსთან, აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონში ბოსტნეულის წარმოების მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. 2006 წელთან შედარებით ბოსტნეულის წარმოება 2013 წლისათვის 64%-ით გაიზარდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში მწვანელის წილი ბოსტნეულის წარმოებასთან მიმართებაში თითქმის მგვავესია (5-6%) , შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ იმერეთში მწვანელის წარმოება ასევე ზრდადია.

დიაგრამა 3. ბოსტნეულის წარმოება რეგიონალურ ჭრილში, 2013 წელი³




მწვანელის

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: <http://geostat.ge/>

წარმოებას უდაოდ გააჩნია გარკვეული საექსპორტო პოტენციალი. ყველაზე ტრადიციული ბაზარი წლების განმავლობაში რუსეთი იყო, რომელიც მწვანე მწარმოებლებისათვის კვლავ გაიხსნა 2014 წლის 10 ნოემბრიდან. სექსპორტო მონაცემები უშუალოდ მწვანე მწარმოებლებისათვის არაა ხელმისაწვდომი. რაც შეეხება ცოცხალ ბოსტნეულის (რომელიც გადის 0709 კოდით) ესპორტს, მისი მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება და 2013 წლისათვის 6 885 294 აშშ. დოლარი შეადგინა.

დიაგრამა 4. ბოსტნეულის (0709 კოდით) ესპორტი, აშშ დოლარი ⁴



მხოლოდ მწვანე მწარმოებლების შესახებ ინფორმაცია არც ევროკავშირისთვისაა ხელმისაწვდომი. სტატისტიკური მონაცემები მოცემულია „მწვანე მწარმოებლებისა და სანელებლების“ კატეგორიით.

ევროსტატის (EUROSTAT) მონაცემების თანახმად, 2013 წელს ევროკავშირში იმპორტირებულ იქნა 520 ათასი ტონა მწვანე მწარმოებელი და სანელებელი 1.8 მილიარდი ევროს ჯამური ღირებულებით. 2009 წლიდან 2013 წლამდე იმპორტის მოცულობა ყოველწლიურად საშუალოდ 4,1%-ით იზრდებოდა. საგულისხმოა, რომ მწვანე მწარმოებლებისა და სანელებლების იმპორტის მიუხედავად ეკონომიკური რეცესიისა და მზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა. ამასთან, ფასების ზრდის ფონზე იმპორტი არ შემცირებულა. 2013 წელს განვითარებადი ქვეყნებიდან 303 ათასი ტონა მწვანე მწარმოებელი და სანელებელი იქნა იმპორტირებული ევროკავშირში, რაც მთლიანი მაჩვენებლის 57%-ია. ღირებულებით გამოსახულებაში იგივე მონაცემი შეადგენდა 926 მილიონ ევროს (მთლიანი ღირებულების 53%).

2012 წელს ევროკავშირის ქვეყნებში მოხმარებულ იქნა 340 ათასი ტონა მწვანე მწარმოებელი და სანელებელი. 2009-2012 წლების პერიოდში საშუალო ყოველწლიური ზრდა 2%-ს შეადგენს. ევროკავშირის ქვეყნების მიერ წარმოებული მწვანე მწარმოებლისა და სანელებლების რაოდენობა 2012 წლისათვის მხოლოდ 135 ათასი ტონა იყო, მოხმარების მაჩვენებლის მესამედზე ოდნავ მეტი. მწვანე მწარმოებლისა და სანელებლების წარმოების ძირითადი ნაწილი მოდის ისეთ ქვეყნებზე, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო მოცულობის სავარგულები, არის მაღალი შიდა მოხმარება და შედარებით იაფი მუშა-ხელი, მათ შორისაა: რუმინეთი, ბულგარეთი და უნგრეთი. ამ ქვეყნებზე ევროკავშირის მთლიანი წარმოების 87% მოდის.

⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; <http://geostat.ge/>


FAOSTAT-ის მონაცემების თანახმად, ევროკავშირზე მოდუს მწვანისა და სანაღებლების მსოფლიო წარმოების მხოლოდ 2,7%, აზიის ნაწილზე კი - 80%, აფრიკაზე - 11%. 2009-2011 წლების პერიოდში გლობალური წარმოება ზდის ტენდენციით ხასითდებოდა და საშუალო წლიურმა ზრდის მაჩვენებლმა 5,5% შეადგინა.

4 სათბურის მწვანის წარმოების ღირებულებათა ჯაჭვი

4.1 წარმოების სისტემები

იმერეთის რეგიონში ბოსტნეულის წარმოების უდიდესი წილი წყალტუბოს რაიონზე მოდის (თუმცა წარმოება სწრაფად ვითარდება თერჯოლისა და ბაღდათის რაიონებშიც). წყალტუბოს რაიონის 8 სოფელში (გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჭირი, ოფშკვითი, მუხიანი, ქვიტირი, მესხეთი, ფარცხანაყანევი) მხოლოდ მცირე და საშუალო ფერმერების მერ წლის განმავლობაში წარმოებული მწვანელი 25,000 ტონას აღწევს. მწვანელების სახეობების მიხედვით კვლევის შედეგად გამოვლინდა შემდეგი გადანაწილება - 3,000 ტონა კამა, 500 ტონა ქინძი, 1,500 ტონა ოხრახუმი, 250 ტონა წიწაკა. წარმოებულ მწვანელს შორის მნიშვნელოვანი წილი მოდის რეჰანზეც. ზოგიერთი ბოსტნეული, განსაკუთრებით კი კიტრი და პომიდორი, წყალტუბოს გარდა მოჰყავთ ვანისა და ბაღდათის რაიონებში. სქემა 3-ზე ნაჩვენებია გამოკითხული ფერმერების მიერ კულტივირებული ძირითადი პროდუქტები.

დიაგრამა 5 – იმერეთის რეგიონში ფერმერების მიერ სათბურებში წარმოებული პროდუქტები



ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მწვანის წარმოება და ექსპორტი სწრაფად იზრდება. იმერეთის ბარში მწვანის წარმოებისთვის საუკეთესო ნიადაგი და კლიმატური პირობებია. რეგიონს მწვანის მოყვანის მრავალწლიანი ტრადიცია გააჩნია. საქართველოში ბოსტნეულის წარმოების ხანგრძლივი ისტორიის გამო, რეგიონში მრავალი გამოცდილი მწარმოებელი და აგრონომის სპეციალობის ადამიანია. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ემბარგო თავდაპირველად დიდი ზიანი მიაყენა გადამამუშავებლებსა და ექსპორტიორებს, მრავალმა მათგანმა უკვე შეძლო საზღვარგარეთ ახალი კავშირების დამყარება და ბოსტნეულის წარმოების, დაკონსერვებისა და წვენების დამზადებისთვის საჭირო სპეციალური აღჭურვილობით შეიარაღება. ზოგ სოფელში კარგად აღჭურვილი ფერმერული მეურნეობა ვითარდება. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 12 000-ზე მეტი სასათბურე მეურნეობაა, რეგიონალურ წარმოებას არ შეუძლია მზარდი ადგილობრივი და საერთაშორისო მოთხოვნის დაკმაყოფილება. ნაწილობრივ, ეს

განპირობებულია იმითაც, რომ ადგილობრივი პროდუქტის ხარისხი ვერ მოდის შესაბამისობაში ევროკავშირის სტანდარტებთან. ფერმერთა გამოკითხვის შედეგების თანახმად, ხარისხის სტანდარტების დაცვა წარმოადგენს ძირითად გამოწვევას ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების წარმოების ზრდისა და მათი კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების კუთხით.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი წყალტუბოს რაიონი ორიენტირებულია სასათბურე მეურნეობებზე, მეცხოველეობასა და სიმინდის წარმოებასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ზოგიერთ სოფელში ასევე ვითარდება ხილის წარმოება და მეფუტკრეობა.

4.2 პროდუქტიულობა



სურათი 1. ქინძის კონა

საქართველოს ტენიანი, სუბტროპიკული კლიმატი, მწვანის წარმოებისთვის იდეალურ პირობებს ქმნის. მწვანის წარმოების უპირატესობა, მისი მოყვანის პროცესის სიმარტივეში მდგომარეობს. როდესაც მწვანის წარმოება სასათბურე ტექნოლოგიის გამოყენებით ხორციელდება, ფერმერებს წელიწადში დაახლოებით 10-ჯერ შეუძლიათ მოსავლის აღება. ერთი ჰექტარი სასათბურე მეურნეობიდან დაახლოებით 500 – 600 კილოგრამი პროდუქტის მოყვანა შესაძლებელი (Affinitas, 2012).

სათბურეებში მცენარეების ზრდა ნოემბრიდან აპრილის ბოლომდე პერიოდში მიმდინარეობს. წარმოების პერიოდის დასაწყისში (ნოემბერსა და დეკემბერში) და ბოლოს (აპრილსა და მაისში), ქინძისა და ოხრახუმის მოყვანა შესაძლებელია ღია გრუნტზე, რადგან იმერეთის რეგიონში ძალიან რბილი ზამთარი იცის. წელიწადის ამ მონაკვეთში, კამის წარმოებისთვის გარე პირობები არახელსაყრელია. ზაფხულში მოყვანილი მწვანელი. როგორც წესი, ადგილობრივ ბაზარს მიეწოდება. ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, ყველაზე მეტად გავრცელებული და შესაბამისად ყველაზე ხშირად მოყავთ კამა, რადგან მისი ფოთოლის დაახლოებით 20 სმ.მდე გაზრდას მხოლოდ 6 კვირა სჭირდება. 15-20 სმ. სიგრძის ფოთლების მქონე ახალგაზრდა მცენარე კონებად იკვრება (იხ. სურათი 1) და ადგილობრივ ბაზარზე იგზავნება. საექსპორტო პროდუქტი მუყაოს ყუთებში იფუთება. იმისათვის, რომ მწვანელმა სინედლე შეინარჩუნოს, ის სამაცივრე (სასაწყობე) მეურნეობაში ინახება, თუმცა იმერეთში მსგავსი საწყობი ბევრი არ არის.



სურათი 2. მცირე ტრაქტორი


მიწის დასამუშავებლად, როგორც წესი, პატარა ტრაქტორებს იყენებენ. იმდენად რამდენადაც

ფერმერთა უმრავლესობას მსგავსი აღჭურვილობა არ გააჩნია, მათ მანქანების დაქირავება მექანიზაციის ცენტრებიდან ან უფრო მსხვილი ფერმერებისგან უწევთ. ქირის ფასი საშუალოდ შეადგენს დღეში 50 ლარს. შედარებისთვის, მცირე ტრაქტორი (იხილეთ სურათი 2) ქუთაისის ადგილობრივ ბაზარზე 2,300 ლარი ღირს. მოსავლის აღების შემდგომი დამუშავებისთვის საჭირო დანიშნულების ნაგებობებისა და დანადგარების (როგორიცაა შეგროვების ცენტრები, სამაცივრე მეურნეობები, სურსათის შესაფუთი დანადგარები და გადამამუშავებელი საწარმოები) დეფიციტი, მნიშვნელოვნად აბრკოლებს წარმოების განვითარებას. ამ ინფრასტრუქტურის გარეშე, წარმოების ზრდის შემთხვევაში, შესაძლოა ფერმერებმა კვლარ გაყიდონ ჭარბი პროდუქცია და მოგების ნაცვლად ზარალი მიიღონ.

4.3 სათბურის მწვანილის ღირებულებათა ჯაჭვი იმერეთისა და რაჭის რეგიონებში

დისტრიბუციის ქსელების კარგად შესწავლისას აღმოჩნდა, რომ მცირე და მსხვილი მწარმოებლები პროდუქტის განაწილების სხვადასხვა არხებს იყენებენ. მწვანილის წარმოების შემთხვევაში, მცირე მწარმოებლების კატეგორიაში ერთიანდებიან საოჯახო მეურნეობები, რომლებსაც პროდუქტი მიწის მცირე ნაკვეთზე მოჰყავთ, ან საკუთრებაში დაახლოებით ხუთ სათბურამდე აქვთ (სათბურის საშუალო ფართი 500 კვ.მ-ს შეადგენს). ხოლო მსხვილ მწარმოებლებად ითვლებიან ფერმერები, რომლებიც ხუთზე მეტ სასათბურე მეურნეობას და რამდენიმე ჰექტარ მიწის ნაკვეთს ფლობენ.

სქემა 4 – იმერეთში სათბურის მწვანილის მიწოდების ძირითადი ჯაჭვი



სქემა 4-ზე წარმოდგენილია მცირე და საშუალო ზომის სასათბურე მეურნეობის ღირებულებათა ჯაჭვი, სადაც მთავარ როლს ექვსი ძირითადი მონაწილე ასრულებს:

1. მცირე ზომის სასათბურე მეურნეობის მწარმოებლებს მიეკუთვნებიან სოფლის მაცხოვრებლები, რომელთაც საკუთრებაში მწვანილის სასათბურე წესით წარმოებისთვის შესაფერისი სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი გააჩნიათ. როგორც წესი, მათ მფლობელობაში დაახლოებით 2 000 მ² მიწის ნაკვეთი აქვთ, სადაც 300-დან 750 მ²-მდე მოცულობის სათბურებია განთავსებულია. წარმოებული პროდუქტის მიყიდვა მოგვიანებით ადგილობრივ ბაზარზე მომუშავე პარტნიორებზე, ან ქართველ შუამავლებზე ხორციელდება. გარდა ამისა, პროდუქტი შეიძლება შეისყიდონ ნახევრად კომერციულმა სასათბურე მეურნეობების მწარმოებლებმა.

2. საშუალო ზომის სასათბურე მეურნეობების მწარმოებლები, ან ნახევრად კომერციული მწარმოებლები. საშუალო ზომის სასათბურე მეურნეობების მწარმოებლები საკუთრებაში ფლობენ 2 000 მ²-ზე მეტ მიწის ნაკვეთს, რომელზეც შესაძლებელია მწვანილის წარმოება. მიწის ნაკვეთები ხშირად რამდენიმე ადგილზეა გაფანტული, სოფლის მიმდებარე ტერიტორიაზე. ნახევრად კომერციული მწარმოებლები არიან პირები, რომლებიც გარდა მათ მიერ მოყვანილი პროდუქტისა, მცირე ზომის მეწარმეთა წარმოებულ პროდუქტსაც ყიდულობენ. ზემოთხსენებული ყველა სეგმენტი შეიძლება კოოპერატივებში გაერთიანდეს, რათა შეძლოს უფრო ხელსაყრელ საბაზრო პირობებზე გარიგება და ამგვარად, უკეთეს ფასზე შეთანხმება. ამ გზით მათ შეიძლება განკარგონ საწყობი, სამაცივრო მეურნეობა, შესაფუთი დანადგარი და საკუთარი სატრანსპორტო საშუალება.

4. ქართველი შუამავლები /შეგროვების ცენტრები სოფლის მაცხოვრებლებისგან პროდუქტის შესყიდვას და შემდგომში მათ გადაყიდვას აწარმოებენ. ისინი წარმოადგენენ მწარმოებლებსა და უცხოელ შუამავლებს შორის არსებულ სეგმენტს. ზოგიერთ მათგანს უკვე დამყარებული აქვს პირდაპირი კონტაქტები მეზობელ ქვეყნებთან ან მსხვილ გადამამუშავებლებთან. ქართველ შუამავლებს საკუთარი პროდუქტი არ აქვთ. ისინი მხოლოდ გადაყიდვას ახორციელებენ.

5. უცხოელი შუამავლები როგორც წესი უკრაინიდან, ბელორუსიიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან ან აზერბაიჯანიდან ჩამოდიან, რათა პროდუქტის სხვა ქვეყნებში ექსპორტი უზრუნველყონ. ისინი დიდი რაოდენობით პროდუქტს ყიდულობენ ქართველი შუამავლებისგან, ან ზოგჯერ პირდაპირ მცირე ზომის მწარმოებლებს უკავშირდებიან და უთანხმდებიან ფასზე. საზღვარგარეთ პროდუქტის მიყიდვა როგორც წესი ხდება ან მცირე საწარმოებზე (სუპერმარკეტები) ან სასოფლო სამეურნეო ბაზრებზე.

6. აგრარული ადგილობრივ ბაზარზე მომუშავე პარტნიორი მწვანილს პირდაპირ მწარმოებლისგან, ან ქართველი შუამავლისგან ყიდულობს. პარტნიორი, როგორც წესი, ბაზარზე რამდენიმე ადგილს ქირაობს და გამყიდველები აჰყავს სამუშაოდ. პარტნიორი შეიძლება თავადაც ყიდდეს პროდუქტს ადგილობრივ ბაზარზე.

7. ღია ბაზარზე მცირე გამყიდველები პროდუქტს პირდაპირ საბოლოო მომხმარებელზე ყიდნიან.



სურათი 3 – მწვანელი ადგილობრივი ქუჩის ბაზარზე

2011 წელს, საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტმა 5,349 ტონა მწვანელის ექსპორტი დაარეგისტრირა. ყველაზე გაყიდვადი პროდუქტი კამაა, რომლის ექსპორტი ძირითადად უკრაინაში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანში, ლიტვაში, ლატვიაში და ესტონეთში ხორციელდება. საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების პირობებში, ზოგი ქართველი მეწარმე პროდუქტის ექსპორტს პირდაპირ რუსეთში აღარ აწარმოებს, არამედ ამას მესამე ქვეყნის საშუალებით ახორციელებს. უკრაინა ქართული მწვანელის ყველაზე მსხვილი იმპორტიორია სხვა ქვეყნებში, ვინაიდან მას სხვა ბაზრებზე შეღწევისთვის აუცილებელი სერტიფიკატები და სავაჭრო ურთიერთობები გააჩნია, რაც ქართველ გადამამუშავებლებს არ მოეპოვებათ. უკრაინელი გადამამუშავებლები მწვანელის საქართველოში ყიდულობენ, ასრულებენ პროდუქტის გადამამუშავებას, ფუთავენ, შესაბამისი ეტიკეტით უზრუნველყოფენ და შემდეგ რუსეთის ან ევროკავშირის ქვეყნების საცალო ბაზრებზე გააქვთ გასაყიდად (Affinitas, 2012). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის 10 ნოემბრიდან კვლავ გაიხსნა ქართველი მწვანელის ექსპორტიორებისათვის რუსეთის ბაზარი - ახალი მოთხოვნებითა და ფიტოსანიტარული ნორმებით. საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტო ახდენს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებას და კონსულტირებას აღნიშნული მოთხოვნების თაობაზე. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოდ, რომ 2015 წლიდან კვლავ გაიზადება უშუალოდ რუსეთში მწვანელის ექსპორტის მაჩვენებელი.


4.4 პროდუქტის ფასები

მწარმოებელთა უდიდესი ნაწილისთვის, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, შემოსავლის ერთადერთ წყაროს წარმოადგენს. როგორც კვლევამ გამოავლინა, ოჯახის შემოსავლებში, სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავლების წილი 77.5% შეადგენს.

მწვანელის ფასები სეზონის მიხედვით იცვლება. ყველაზე მაღალი ფასი ზამთარში ფიქსირდება, როდესაც ტემპერატურა ძალიან დაბალია. რიგ შემთხვევებში ფასები ძალიან

იზრდება ზაფხულშიც, განსაკუთრებით ცხელ ამინდებში. თუმცა, ფასის ცვლილებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს წლის ნებისმიერ დროს, ტემპერატურის ცვალებადობიდან გამომდინარე. მაგალითისთვის, 2014 წლის ზაფხულში დაფიქსირდა უპრეცედენტოდ მაღალი ტემპერატურა და გვალვები, ამ პერიოდში 1 კგ კამის საღაცო ფასი 18ლარამდე ავიდა, ხოლო 1 კგ ქინძი რეკორდულად მაღალ ფასად -30 ლარად იყიდებოდა საცალო ქსელში. შესაბამისად, თუ ცუდი ამინდი რამდენიმე დღეს გასტანს, ეს აუცილებლად აისახება მოსავლის რაოდენობაზე. ფასი ასევე იმატებს, როდესაც ერთი სეზონის მოსავალი მთავრდება და ახალ სეზონზე მოსაწევი პროდუქტი ჯერ არ გაზრდილა, კერძოდ, აპრილში, მაისსა და აგვისტოში. ცხრილში 4, მოცემულია 2014 წლის მარტში არსებული მწვანილის მწარმოებლისა და საბითუმო ფასები.

დიაგრამა 6 – იმერეთის რეგიონში მწვანილის საცალო და საბითუმო ფასი ლარი/კგ.




მწვანილის საცალო ფასი განსხვავებულია რეგიონისა და ქალაქების მიხედვით. თბილისში ფასები ოდნავ მაღალია, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. მიუხედავად იმისა ეომ მწარმოებლისა და საბითუმო ფასები მხირედით განსხვავდება მწვანილის სახეობის მიხედვით, საინტერესოა რომ საცალო ქსელში, როგორც წესი წესდება ერთოდაიგივე ფასი ყველა მწვანილისათვის (გარდა მწვანე ხახვისა და ბოლოკისა). 2014 წლის მარტში 1 კგ მწვანილის საცალო ფასი მაღაზიებში დაახლოებით 4-5ლარი იყო. საცალო მაღაზიების/დახლების საშუალო ფასნამატი 30%-ია.

5 კონკურენტუნარიანობის აღმასის მოდელი: - რესურსების პირობები, მოთხოვნის პირობები, მონათესავე სექტორები, კონტექსტი

5.1 წარმოებისთვის საჭირო რესურსები


მცირე მწარმოებლები მარტივ ტექნოლოგიებს იყენებენ, მაშინ როცა მსხვილი მწარმოებლები აღჭურვილები არიან თანამედროვე სასათბურე ნაგებობებითა და საირიგაციო სისტემებით და მრავალი მათგანი, პროდუქტს საექსპორტოდ აწარმოებს. ისინი გამოცდილი უცხოური კომპანიების მიერ წარმოებულ მწვანელის თესლს იყენებენ, რაც პროდუქტიულობის გაზრდის საშუალებას იძლევა. მცირე მწარმოებელთა უმრავლესობას პროდუქტი არა საკუთარი მოხმარების, არამედ ბაზარში გასაყიდად მოჰყავს. მწვანელის გასაყიდად უფრო შესაფერისი პირობები იმ ბაზრებზეა შექმნილი, სადაც სათანადო დისტრიბუცია და სამაცვრე-სასაწყობე კომპანიები მუშაობენ.

დიაგრამა 7 – სათბურის მწვანელის მწარმოებელი ფერმერების მიერ გამოყენებული წარმოებისთვის საჭირო ძირითადი რესურსები



თესლი, სასუქები და ჰერბიციდები არის პროდუქციის წარმოებისთვის საჭირო ის ძირითადი სასოფლო-სამეურნეო რესურსი, რომელსაც ფერმერები ყიდულობენ (იხილეთ დიაგრამა 8) მწვანელის თესლის იმპორტი ძირითადად ხორციელდება რუსეთიდან, უკრაინიდან და სხვა ევროპული ქვეყნებიდან, როგორცაა ჰოლანდია და შვეიცარია. მწვანელის თესლის ძირითადი მწარმოებლები არიან “Zaden” და “Braker’s Brothers”. ზოგიერთი ადგილობრივი ფერმერი თავად აწარმოებს თესლს. კამის ყველაზე მოთხოვნად სახეობათა შორისაა „ალიგატორი, „როიალი“ და „სუპერდუკატი. ოხრახუმის შემთხვევაში, ყველაზე მოთხოვნადია ადგილობრივი, ფართოფოთლიანი სახეობა. თესლის საცალო გამყიდველები (ადგილობრივ ბაზარზე ქუთაისში) პროდუქციის საწარმოებლად საჭირო სასოფლო-სამეურნეო რესურსს თბილისში არსებულ იმპორტიორის სპეციალურ აგრო მაღაზიებში ყიდულობენ. მწვანელის თესლის ფასები წარმოდგენილია ცხრილ 5-ში. ყველაზე ფართოდ გამოყენებული პესტიციდები და ჰერბიციდები კი ასახულია ცხრილში 6.

დიაგრამა 8 - მწვანის თესვის ფასები ლარი/კგ.



ცხრილი 6 – მწვანის წარმოებისთვის გამოყენებული პესტიციდები და ჰერბიციდები

დასახელება	დანიშნულება	ფასი ლარი/კგ.	წარმომავლობა	1 ჰა.ზე
“Ridomin Gold”	პესტიციდი	45	შვეიცარია	2 კგ.
შემადგენლობა:				
Mancoxis 640 გ.კგ.				
Mefenoxam 40 გ.კგ				
“Corz Super”	პესტიციდი	25	ბულგარეთი	2.5 კგ.
შემადგენლობა: Mancoxis				
450 გ.კგ, Cimoxalin 50 გ.კგ				
“Prome Gold”	ჰერბიციდი	26	ბულგარეთი	2 კგ.
შემადგენლობა:				
Prometrine 500 გ.კგ				
“Shock”	ჰერბიციდი	20	ჩინეთი	2 კგ.
შემადგენლობა:				
Glifosan 480 გ/ლ				

სასათბურე მეურნეობები გაყოფილია ორ ძირითად კატეგორიად. დაბალი სათბურები პირდაპირ მორგებულია მიწის ნაკვეთის იმ ნაწილს, სადაც კულტურები დათესილი დაახლოებით 3-4 კვირით. ყველაზე ხშირად მათი გამოყენება ხდება იმ შემთხვევებში, როდესაც კულტურებს ქარისგან დაცვა სჭირდებათ, ან როცა მცენარე ზრდის პირველ ეტაპზეა. მაგრამ თუ მცენარე სეზონურ დაცვას საჭიროებს, აუცილებელია მაღალი

სასათბურე ნაგებობის გამოყენება. ასეთ სათბურებს სხვადასხვა სიმაღლე და ფორმა აქვთ. ამგვარი ნაგებობა მეწარმეს საშუალებას აძლევს წლის განმავლობაში გამოიყენოს დამატებითი განათება, გათბობა, ირიგაცია და სხვა სისტემები, რომლებიც სათბურის ნაწილს წარმოადგენენ (Affinitas, 2013).



სურათი 4 – რკინის, ხის და კომბინირებული სასათბურე ნაგებობა

სათბურის ფასს განაპირობებს მის ასაგებად გამოყენებული მასალა (ხე ან რკინა) და გადახურვის ტექნოლოგიები, როგორიცაა შუშა, სპეციალური სასათბურე ლენტი, პლასტმასი, პოლიკარბონატი, და ა.შ. ერთი ჰექტარი ფართობისა და 6 მეტრი სიმაღლის სათბურის ფასი 150,000 - 750,000 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს. ამგვარი ნაგებობის საგარანტიო ვადა 3 წლიდან იწყება. პოლიკარბონატის სათბური შედარებით ძვირია, სამაგიეროდ მისი საგარანტიო ვადა დაახლოებით 25 წელია. ამგვარი შენობის საშუალო ფასი 1,000,000 - 1,200,000 აშშ დოლარს შორის მერყეობს (Affinitas, 2013).

სათბურები ასევე განსხვავდება საირიგაციო სისტემებით. მონახულებულ სათბურებში გამოყენებული იყო ავტომატიზებული, მიწაში დამალული საირიგაციო და სასხური სისტემები.

სურათი 5 – სათბურის საირიგაციო სისტემა




5.2 მოთხოვნა

საქართველოში ცოცხალი მწვანელი ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე, ან ხილისა და ბოსტნეულის სპეციალიზებულ ასევე სასურსათო მაღაზიებში იყიდება. იმერეთში არ არსებობს მსხვილი სუპერმარკეტების ქსელი. მწვანელზე მთელ მოთხოვნას 100%-ით აკმაყოფილებს ადგილობრივად წარმოებული პროდუქტი. ამდენად იმპორტის საჭიროება არ არსებობს. რაც შეეხება ექსპორტს, ყველაზე მაღალი მოთხოვნა მწვანელზე ზამთრის თვეებში ფიქსირდება, როდესაც სხვა ქვეყნები ვერ ახერხებენ მწვანელზე ადგილობრივი მოთხოვნის დაკმაყოფილებას.

ბაზარზე შესაძლებელია ყველა ფართოდ მოხმარებადი მწვანელის შემენა. # 7 ცხრილში წარმოდგენილია ხშირად გამოყენებული მწვანელის დღიური გაყიდვების მონაცემები.

ცხრილი 7 – ადგილობრივ ბაზარზე ერთ დღეში გაყიდული მწვანელის მოცულობა კილოგრამებში (საშუალო)



მწვანელი ქართული სამზარეულოს მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ის თითოეულ კერძს გამორჩეულ გემოს სძენს. მწვანელი გამოიყენება სოუსების, სალათების და სხვა კერძების შესაკმაზად, მათ შორის სხვადასხვა სახეობის ფხალი. რეალურად, საქართველოში მცხოვრები ოჯახებისათვის მწვანელი ყოველდღიური რაციონის განუყოფელი ნაწილია.

საქართველოში, უფრო მეტად კი თბილისში, ნელი ტემპებით მაგრამ მაინც მზარდია მოთხოვნა „არატრადიციულ“ მწვანელებზე, რომელიც პოპულარული ხმელთაშუაზღვისპირეთისა და აზიურ სამზარეულოში, მათ შორის - როზმარინი, ბაზილიკი (მწვანე და არა ე.წ ქვეყანაში გავრცელებული რეჰანი); ბექქონდარი, რუკოლა და სხვადასხვა ჯიშის მწვანე სალათის ფოთლები აშ. ამ ეტაზე ეს პროდუქტები ძირითადად გამხამრი სახით წარმოდგენილია მსხვილი სუპერმარკეტების ქსელში. ხშირად ისინი თავადვე ახდენენ მათ იმპორტირებას. ასევე ევროპული და სხვა თემატური რესტორნები საკუთარი არხებით ახდენენ ამ ტიპის პროდუქციის შესყიდვას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მიმართულება შეიძლება გახდეს დამატებითი შემოსავლის წყარო არსებული ფერმერებისათვის თუ ისინი ტრადიციულ სახეობებთან ერთად მიოყვენენ

ახალი სახობის მწავნილებს და საწყის ეტაპზე მიაწოდებენ ადგილობრივ ბაზარს. პერსპექტივაში კი სახობების დივერსიფიკაცია კიდევ უფრო გაზრდის მათ საექსპორტო პონეციალს.

5.3 მონათესავე სექტორები

მცენარეები ცნობილია ადამიანის ჯანმრთელობაზე თავისი დადებითი გავლენით. აქედან გამომდინარე, სამედიცინო მიზნებისთვის გამოყენებულ მცენარეთა ბაზარი სწრაფად იზრდება უკანასკნელ წლებში. თუმცა, როგორც მრეწველობა, სამედიცინო დანიშნულების მცენარეების სექტორი კვლავ განუვითარებლად რჩება საქართველოში. მხოლოდ თითხე ჩამოსათვლელი კომპანიები და გადამამუშავებელი საწარმოები ახორციელებენ ნედლეული მასალის შეგროვებას და ექსპორტისთვის მომზადებას. ამ ინდუსტრიაში ინვესტირების დიდი შესაძლებლობები არსებობს, რადგან მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად (WHO), მოსახლეობის 70-დან 80%-ამდე ალტერნატიული ან დამხმარე მედიცინის რაიმე ფორმით სარგებლობს, რომელთაგან მცენარეებით მკურნალობა ყველაზე პოპულარულია (GNIA, 2011).

გარდა მწვანილის ცოცხლად გამოყენებისა, ფერმერები ნელ-ნელა სწავლობენ მათი შენახვის მეთოდებს. არსებობს მცენარეთა შენახვის ორი ძირითადი ტექნოლოგია - გაშრობა და გაყინვა. გაშრობის მეთოდის გამოყენება შესაფერისია როზმარინის, მწარე აბზინდის, ქონდარის, თავშავასა და მაიორანის შემთხვევაში. მწვანილის შენახვის საბოლოო ეტაპია მისთვის ძმრის, ზეითუნის ზეთის, კარაქის ან ზღვის მარილის დამატება. გამომშრალი მწვანილი, როგორც წესი, სამჯერ ან ოთხჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე ნედლი. გაყინვის მეთოდს, როგორც წესი, ნაზი ფოთლების მქონე მწვანილების შემთხვევაში იყენებენ, როგორცაა ბაზილიკო, ოხრახუმი, კამა და პიტნა (Martin, 2014).

ამ თვალსაზრისით, რეგიონალური ფერმებისათვის ყველაზე ოპტიმალური იქნებოდა საშრობი სისტემების მეტად დანერგვა. ასეთ შემთხვევაში მათ შეეძლებათ ჩაანაცვლონ იმპორტირებული გამშრალი მწვანილები (საქართველოსთვის არატრადიციული სახობებისათვის). ხოლო შეფუთვის სათანადო სისიტემის შეძენის შემთხვევაში კი ისინი შეძლებენ საექსპორტოდ დამატებითი სახობის პროდუქციის გატანას ცოცხალ მწვანილთან ერთად.

5.4 კონკურენცია

იმერეთის რეგიონში ძალიან ძლიერი კონკურენციაა, რადგან ბევრი მცირე ფერმერი მისდევს მწვანილის წარმოებას. ეს ფაქტი ასევე განაპირობებს პროდუქტის ფასს ბაზარზე. როგორც წესი, ფერმერები და შემგროვებლები ერთმანეთთან არ აფორმებენ ხელმოწერილ ხელშეკრულებას; მათი ურთიერთობა ძირითადად ეფუძნება პირდა კონტაქტებსა და სიტყვიერ შეთანხმებას. თუ ახალი შემგროვებელი ფერმერს უკეთეს ფასს შესთავაზებს, ფერმერი თავის მუდმივ შემგროვებელს დაუკავშირდება, და როგორც წესი, ურთიერთ

ხელსაყრელ ფასზე მოელაპარაკება.

როგორც კი ადგილი აქვს მცირე ფერმერების მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდას, საშუალო და მსხვილი ფერმები დგებიან გაზრდილი კონკურენციისა და ჭარბი პროდუქტის არსებობის ფაქტის წინაშე აღმოჩნდებიან. შესაბამისად, ისინი ორიენტაციას უღებენ საექსპორტო ბაზრებზე. ამისათვის, პირველ რიგში მათ აუცილებლად ჭირდებათ (და გადამამუშავებელ საწარმოებს) სურსათის უვნებლობის სერტიფიკატის, როგორიცაა Global GAP და HACCP, მოპოვება.

6 სტრატეგიული მწარმოებლურობა და ხარისხი

6.1 სათბურის მწვანელი სურსათის უვნებლობასა და ხარისხთან მიმართებაში

მწვანელი, ზოგადად, უაღრესად სასარგებლოა ადამიანის ჯანმრთელობისთვის, რადგან ის ადამიანის ორგანიზმს თავისუფალი რადიკალებისა და კარცეროგენისგან იცავს, ასევე მას აქვს ანტიოქსიდანტური ეფექტი. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი საცალო ვაჭრობისა და სუპერმარკეტების ქსელების მომარაგების, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე პროდუქტის გატანის მიზნით წარმოების გაზრდისთვის მთავარ სირთულეს, სურსათის ხარისხსა და უვნებლობასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოადგენს. რიგით ფერმერს, რომელის საკუთრებაშიც საშუალოდ 5 სათბურამდეა, როგორც წესი არ აქვს აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ გაცემული სურსათის უვნებლობისა და ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატი, რადგან ის საჭირო არ არის ადგილობრივ ბაზარზე ვაჭრობისთვის.

საქართველოში არ არსებობს თანამედროვე საკანონმდებლო ბაზა და სურსათის უვნებლობისა და ხარისხის მონიტორინგის სტანდარტები. არ არსებობს სურსათის უვნებლობის მართვის სისტემები, სურსათის მოწოდების ჯაჭვში განსაზღვრული არ არის პასუხისმგებლობები, არ ხდება HACCP-ისა და მონიტორინგის პრინციპების დაცვა, ისევე როგორც სათანადოდ არ არის განსაზღვრული და გატარებული პროდუქტის შეფუთვისა და მის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული მოთხოვნები. საქართველოში სულ რამდენიმე მწარმოებელია, რომელსაც ISO 22000 სერტიფიკატი გააჩნია.

პროდუქციის ხარისხს ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ მცირე ფერმერთა უმრავლესობა, დაბალი ხარისხისა და დაბალი მოსავლიანობის მქონე თესლს ყიდულობს ადგილობრივ ბაზარზე, ვინაიდან მათ არ შეუძლიათ მაღალხარისხიანი თესლის შეძენა, რომელსაც მნიშვნელოვნად უფრო მაღალი მოსავლის მიღების პოტენციალი გააჩნია. პროდუქტის ხარისხის შენარჩუნების კიდევ ერთი ფაქტორი, სასაწყობო მეურნეობების არსებობაა. მაშინ როცა ბევრ მსხვილ ფერმას აქვს საკუთარი სპეციალური სასაწყობო ინფრასტრუქტურა, საშუალო და მცირე ფერმერები თავიანთ პროდუქტს სარდაფებსა და მარნებში ინახავენ და კლიმატის კონტროლისთვის სტანდარტულ საყოფაცხოვრებო ჰაერის კონდიციონერებს

იყენებენ. ამ მეთოდების გამოყენების შედეგად, როგორც წესი, პროდუქტის მოსავლიანობა და ხარისხი მნიშვნელოვნად ზარალდება (USAID, 2011).

6.2 ფიტო-სანიტარული, ჰიგიენური და ხარისხთან დაკავშირებული მოთხოვნები საექსპორტო პროდუქციისთვის

ამჟამად, რამდენიმე მსხვილი და მცირე გადამამუშავებელი საწარმო ახორციელებს ძალიან მცირე ღირებულების დამატებით ნედლეულის ექსპორტს იმპორტიორებამდე, რომლებიც შემდგომში საზღვარგარეთ აგრძელებენ პროდუქტის გადამამუშავებას. ნედლეული მასალის

გადამამუშავებელ საწარმომდე ექსპორტირებისთვის, ექსპორტიორს, პროდუქტის გატანამდე, აკრედიტირებულ ფიტო-სანიტარულ ლაბორატორიაში საქონლის შემოწმება უნდა შეეძლოს. როგორც წესი, ამ საქმიანობას იმპორტიორები ახორციელებენ იმ ქვეყანაში, სადაც მუშაობენ, მაგრამ რადგან ევროპული ქვეყნები უფრო მაღალ სტანდარტებს და ორგანული პროდუქტის წარმოების ყველა ეტაპის დამადასტურებელ საბუთებს ითხოვენ, ქართველ ექსპორტიორებს/გადამამუშავებლებს GLOBAL GAP-ის პროცესის გავლა მოუწევთ. ამ სერტიფიკატის გარეშე, პროდუქტის ექსპორტი მხოლოდ შეზღუდულ ქვეყნებში იქნება შესაძლებელი, მაგალითად, როგორიცაა დსთ-ს წევრ ქვეყნებში.

საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს (GNIA) თანახმად, ევროკავშირის ბაზრებზე შესვლას 5 ძირითადი წესი და რეგულაცია არეგულირებს (Affinitas, 2012):

- **ჰიგიენური წესების დაცვის რეგულაცია ([Regulation \(EC\) No 178/2002](#))** - შესაძლოა, გადამამუშავებელი საწარმოებისთვის ეს იყოს ყველაზე რთულად შესასრულებელი მოთხოვნა, ვინაიდან დროის ამ ეტაპზე, ოპერატორებს როგორც წესი არ გააჩნიათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა ან სისტემები სათანადო ჰიგიენური სტანდარტების უზრუნველსაყოფად.
- **ეტეკტირების წესები ([Directive 2000/13/EC](#))** - წესის თანახმად, პროდუქტის ეტიკეტმა უნდა დააკმაყოფილოს ყველა სპეციალურ მოთხოვნა (მითითებული უნდა იყოს პროდუქტის გამოყენების წესები, შენახვის ვადები, წარმოშობის ადგილი, და ა.შ.) და შეცდომაში არ უნდა შეიყვანოს მომხმარებელი. 2015 წლიდან აღნიშნული წესი შეიცვლება შემდეგი რეგულაციით [Regulation \(EU\) No 1169/2011](#), რომელიც მომხმარებლისთვის სურსათთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას შეეხება.
- **მარკეტინგის სტანდარტები** - ევროკავშირის სხვადასხვა ბაზარზე არსებული სტანდარტების შესაბამისობის სერტიფიკატი, რომელიც არეგულირებს: ხარისხს (ტენი, პესტიციდები, სისუფთავე და კლასიფიკაცია) ზომას, პრეზენტაციას და მარკეტინგს.
- **მცენარის ჯანმრთელობის კონტროლი** - ეს რეგულაცია უზრუნველყოფს მცენარის მავნებლების გავრცელებისგან დაცვას. ეს სერტიფიკატი უნდა ერთვოდეს იმპორტირებულ მცენარეს და მცენარულ პროდუქტს.
- **იმპორტის ლიცენზია** - სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ევროკავშირის ბაზარზე იმპორტირების ლიცენზია.

7 ექსპლუატაციური მწარმოებლურობა –გადამუშავება, ტრანსპორტირება დააგადეებები და ბიოლოგიური საფრთხეები

7.1 სათბურის მწვანელობის გადამუშავება

სიმდენად რამდენადაც, მწვანელი ძირითადად ნედლი სახით მოიხმარება, დამატებითი გადამუშავება თითქმის რ არის საჭირო. როდესაც მწვანელი სასურველ სიმაღლეს - 15-20 სმ.ს აღწევს, ის იკრიფება, კონებად იკვრება და ბაზარში იგზავნება. მოსავლის აღება როგორც წესი ოჯახის წევრების, ან დაქირავებული მუშახელის მიერ ხორციელდება. ერთ ადამიანს დღეში დაახლოებით 20-25 კგ. მწვანელის მოკრეფა



სურათი 6 - კამის მოკრეფვა

სურათი 6 – კამის კრეფა შეუძლია. ანაზღაურება დღეში დაახლოებით 10 ლარს შეადგენს. მწვანილს შემდგომში გამოყენების მიზნით აშრობენ, ყინავენ ან ზეთში ინახავენ. გარდა ამისა, მწვანილისგან შეიძლება დამზადდეს მცენარეული ჩაი, მცენარეული ჟელი ან კანფეტი.

7.2 ტრანსპორტირება და გადაადგილება

მცირე ფერმებისთვის, პროდუქტში აღებული მცირე ფასის მიუხედავად, ადგილობრივი ბაზარი პროდუქტის გაყიდვის საუკეთესო შესაძლებლობაა. თუმცა, ზოგიერთი მწარმოებელი ინდივიდუალურ სატვირთო მანქანებს ქირაობს თავისი პროდუქტის ქვეყნის მთავარ ბაზრებზე გასატანად, რაც ხარჯს მნიშვნელოვნად ზრდის და ფერმის მოგებას ამცირებს. ბითუმად მოვაჭრეები, საშუალო და მსხვილი ფერმებისგან პროდუქტის ყიდვისას, ფასში ხშირად ითვალისწინებენ ტრანსპორტირებით მომსახურების ხარჯებს; თუმცა, ზოგადად, ამ ფერმებს საკუთარი სატვირთო მანქანები ჰყავთ თავისი პროდუქტის ბაზრებზე გადასატანად (USAID, 2011).

გამაგრებული მოწყობილობით აღჭურვილი სატვირთო მანქანებით პროდუქტის ტრანსპორტირების ფასი, 30 კგ.იან 1 ყუთზე 30-40 ლარს შორის მერყეობს. როგორც წესი, ერთ მწარმოებელს ან ერთ შემგროვებელს არ შეუძლია მთელი მანქანის მარტოს შევსება. აქედან გამომდინარე, პროდუქტის გამგზავნი მანქანის შესავსებად სხვებთან თანამშრომლობს. მოსკოვში კერძო კომპანიის მიერ პროდუქტის ტრანსპორტირებას 10-12 დღე სჭირდება, თვითმფრინავით ტვირთის გაგზავნას მხოლოდ 2 საათი, იგივე ღირებულების საფასურად. საერთაშორისო ბაზრებზე გადამზიდავი ფრენები ფაქტიურად არ არსებობს.

პროდუქტის გადაზიდვის ამჟამად არსებული ერთ-ერთი საშუალება, რომელსაც ბევრი მწარმოებელი არ იყენებს, არის საქართველოს რკინიგზის რეფრიჟირებული კონტეინერები. საქართველოს მასშტაბით და მეზობელ ქვეყნებში რკინიგზით გადაზიდვა მნიშვნელოვნად იაფა, სატვირთო მანქანით გადაზიდვასთან შედარებით. მაგალითად, ფოთიდან თბილისში 40 ფუტისანი (დაახლოებით 30 ტონა) კონტეინერის მატარებლით გადაზიდვა დაახლოებით 400 ლარი ჯდება მთელი კონტეინერისათვის, მაშინ როცა სატვირთო მანქანით იგივე მოცულობის ტვირთის ტრანსპორტირება შეიძლება 1,700 ლარამდე დაჯდეს (USAID, 2011).

7.3 დაავადებები და ქიმიური საფრთხეები

კულინარიაში გამოსაყენებელი ნედლი მწვანილის მწარმოებლები აღიარებენ, რომ ფაქტიურად შეუძლებელია დაბინძურებული მწვანილიდან ბაქტერიებისა და მიკროორგანიზმების სრულად მოცილება ან განადგურება; აქედან გამომდინარე, წარმოების ყველა ეტაპზე, მოყვანიდან დაწყებული, დისტრიბუციით დამთავრებული, უდიდესი უპირატესობა ენიჭება მიკრობული დაბინძურების პრევენციას, ვიდრე უკვე არსებული დაბინძურებისგან მცენარის გასუფთავებას (FDA, 2013).

დაავადებებს ძირითადად ავრცელებენ სხვადასხვა სახის მწერი-პარაზიტები, რომლებიც მცენარის უჯრედების სწრაფ გაუფერულებას და ჭკნობას, ან მცენარის ფოთლებზე ბურთის ფორმის ფისტულების გამოყრას იწვევენ. ასევე ხშირად გავრცელებული დაავადება, რომელიც მწვანილის შემთხვევაში გვხვდება, არის ობი, და ობის სოკო. მათგან დასაცავად აუცილებელია მცენარისთვის ფუნგიციდების შესხურება.

რაც შეეხება მავნებლებს, ყველაზე გავრცელებულია მწვანილის მატლი (*Pseudaletia unipuncta*), ხვატის მუხლუხო (*Agrotis* spp.) და ბუგრები (*Cavariella aegopodii*). მავნებლებისგან კონტროლის ორგანულ მეთოდებს განეკუთვნება ბუნებრივი მტრების მიერ ბიოლოგიური კონტროლი, რომელიც მატლების პარატიზირებას გულისხმობს. ქიმიკატების მოხმარების შემთხვევაში, საჭიროა სათანადო კონსულტაციების გავლა აგრო მაღაზიებში. ზოგიერთი მწერი და პარაზიტი ნაჩვენებია სურათზე 7.



სურათი 7 – კამის ფოთლის დაავადების სიმპტომი; მუხლუხო მცენარის ღეროზე; ხოჭოს კოლონა სტაფილოზე

8 მომარაგების ჯაჭვის მენეჯმენტი – პროდუქციის და ინფორმაციის მოძრაობა

იმერეთში ნედლი მწვანილის წარმოების ჯაჭვი საკმაოდ პატარაა, რადგან პროდუქტის დამატებითი გადამუშავება არ ხორციელდება. არ არსებობენ დომინანტი მონაწილეები, რომლებიც წარმოების ჯაჭვს აკონტროლებენ ან მართავენ. ბაზრის ყველაზე დიდ მოთამაშეებს მსხვილი საწარმოები წარმოადგენენ, რომლებიც იმავდროულად შემგროვებლებისა და ძირითად ექსპორტიორების ფუნქციასაც ასრულებენ (მაგ. შპს „ჰერბია“, შპს „ქართული ნედლი მწვანილი“). როგორც წინა თავებში იქნა აღნიშნული, ფერმერებსა და შემგროვებლებს შორის არ არსებობს წერილობით გაფორმებული კონტრაქტები. ურთიერთობები ძირითადად ურთიერთნდობას ეფუძნება. თუ ახალი შემგროვებელი ფერმერს უკეთეს ფასს სთავაზობს, ფერმერი თავის მუდმივ შემგროვებელს უკავშირდება და საბოლოოდ ისინი ურთიერთხელსაყრელ ფასზე თანხმდებიან.

9 ინსტიტუციები, სოციალური კაპიტალი, ადამიანური რესურსები და გაფართოების შესაძლებლობები

9.1 Know –how და ხელმისაწვდომობა გაფართოების სერვისებზე

იმერეთში მწვანილის მწარმოებელთა უმრავლესობას ოჯახისგან და საოჯახო ბიზნესით შემენილი მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია. მიუხედავად ამისა, გამოკითხული ფერმერები მიესალმებიან სპეციალიზებულ ტრენინგებზე დასწრების შესაძლებლობას, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიებსა და პროდუქტის წარმოებისთვის საჭირო რესურსებს მიეძღვნება, რათა შეძლონ საერთაშორისო დონის მოთხოვნების შესაბამისი პროდუქტის ხარისხისა და მოსავლის მიღება.

ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია იმერეთის რეგიონში მოღვაწე სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, მაგ. People in Need ან USAID. ზოგიერთი ფერმერი ერთმანეთს უზიარებს ცოდნას, ზოგი პროფესიულ წიგნებსა და ინტერნეტ-რესურსებს იყენებს სასურველი ინფორმაციის მოსაძიებლად. მწირი ინფორმაცია მოიპოვება ახალ ბაზრებსა და ტექნოლოგიებზე. აგრო მაღაზიებში მომუშავე აგროქიმიკატების გამყიდველები ახალი პროდუქტის შესახებ რჩევებსა და ინფორმაციას პირდაპირ დისტრიბუტორებისგან იღებენ.

„აგრობიზნესის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ (ADA) და USAID-ის მიერ დაფინანსებული „მექანიზაციაზე ხელმისაწვდომობის“ პროგრამის ფარგლებში, გასულ წლებში შეიქმნა ფერმერთა მომსახურების 33 ცენტრი. ამ ცენტრების საშუალებით ხორციელდება ახალი ტექნოლოგიების, სათესლე მასალისა და ქიმიკატების ფერმერებისთვის წარდგენა. მასალის შეძენისას ცენტრები მყიდველს მცირე

ტრენინგებსაც სთავაზობენ; მიუხედავად ამისა, კვლავ არსებობს ახალ ტექნოლოგიებსა და მათი მოხმარების საკითხებზე თანმიმდევრული ტრენინგებისა და სემინარების ჩატარების აუცილებლობა.

9.2 ფორმალური განათლების შესაძლებლობა

ამ ეტაპზე ცნობილი არ არის რომელიმე ოფიციალური კურსი საქართველოში, რომელიც სპეციალურად მწვანეების მოყვანის, ხარისხის გაუმჯობესების, გადამუშავების ან სერტიფიცირების საკითხებს ეძღვნება. ეს შეიძლება კარგი შესაძლებლობა იყოს საქართველოს უნივერსიტეტებისთვის, რადგან ისინი კურსებს მხოლოდ თავიანთი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამების ფარგლებში სთავაზობენ დაინტერესებულ პირებს. ასევე შესაძლებელია შესაბამისი ახალი სასწავლო ცენტრების შექმნაც.

9.3 სოციალური კაპიტალი და თანამშრომლობა

რაც შეეხება ფერმერებს შორის თანამშრომლობის პოტენციალს, ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ფერმერები ერთმანეთთან ძალიან შეზღუდულად თანამშრომლობენ. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ნედლი მწვანეების მწარმოებელი კოოპერატივი „დოვლათი“. სხვა ფერმერებმა აღნიშნეს, რომ გარკვეულწილად თანამშრომლობენ აგროქიმიკატების შეძენისას (გამოკითხულთა 16.6%), მექანიზაციის საშუალებების გამოყენებისას (16.6%), პროდუქტის ტრანსპორტირების ორგანიზებისას (11.1%) და ინფორმაციის გაზიარებისას (11.1%).

10 ინსტიტუციები და ბიზნეს გარემო

10.1 ბიზნეს გარემო

იმერეთის რეგიონში, სოფელ ქვიტირში (წყალტუბოს რაიონი) ფუნქციონირებს წყალტუბოს მწვანეების მწარმოებელთა ასოციაცია (TGGA). ასოციაცია თანამშრომლობს AgVANTAGE-თან (ACDI/VOCA's დამატებითი ღირებულების საწარმოთა ხელშეწყობა) მოსკოვის მეტროპოლიასა და რუსეთის ქალაქებში ახალი ბაზრების მოძიების მიმართულებით, ასევე, ახალი შესაფუთი მასალების ფერმერებისთვის გაცნობის კუთხით, რასაც მოგების მნიშვნელოვნად გაზრდის პოტენციალი გააჩნია (ქარჩავა, დაუთარილებელი).

10.2 მთავრობის ხელშეწყობა

სასოფლო-სამეურნეო სექტორის ზრდის ხელშეწყობისა და ამ სექტორში ინვესტირების სტიმულირების მიზნით, საქართველოს უკვე დაწესებული აქვს გარკვეული წამახალისებელი მექანიზმები. მწვანეების წარმოებაზე ვრცელდება შემდეგი:

- 0% ქონების გადასახადი მცირე ზომის მიწის ნაკვეთზე (5 ჰა-ზე ნაკლები)
- 0% ქონების გადასახადი ქონებასთან დაკავშირებულ ტრანზაქციაზე

- 0% დღგ-ს გადასახადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის პირველად მოწოდებაზე
- 0% იმპორტის მოსაკრებელი სასოფლო-სამეურნეო და სხვა ადჭურვილობაზე (Affinitas, 2012)

ასევე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯებია გადადგმული უცხოური პირდაპირი ინვესტიციების (FDI) მოსაზიდად. პირებს, რომელთაც სასოფლო სამეურნეო პროდუქტის გადამამუშავებელი საწარმოს გახსნა სურთ, მიწის შეძენა საბაზრო ღირებულების 20%-ად შეუძლიათ.

11 დასკვნები და რეკომენდაციები

11.1 SWOT

S • ქართულ ტრადიციულ სამზარეულოში მწვანილზე მაღალი მოთხოვნა • ჯანმრთელობისთვის სასარგებლო თვისებები • წარმოების კონკურენტული ფასი	W • დანაწევრებულ მიწის ნაკვეთებზე წარმოებული მწვანილის მომწოდებელთა რაოდენობა • მოძველებული მანქანა-ადჭურვილობები • მწვანილის შეფუთვა • გაუმჯობესებისთვის საჭირო კაპიტალის ნაკლებობა • ცოდნისა და ტრენინგების შესაძლებლობების სიმცირე
O • საერთაშორისო ბაზრებზე მწვანილზე მზარდი მოთხოვნა • საკვების გადამამუშავებელი კომპანიებისთვის მეტი ნედლი მწვანილის მიწოდება • ბაზრისთვის მწვანილის გადამამუშავებული ან დამატებითი ღირებულების მქონე პროდუქტის ფორმით მიწოდება - გაყინული მწვანილი, გამხმარი მწვანილი, ან მწვანილის პასტა	T • გლობალურ ბაზარზე შესვლის ხელისშემშლელი ბარიერები • საერთაშორისო ბაზრებზე პირდაპირი სატვირთო ფრენების არ არსებობა • აგროქიმიკატების არასათანადოდ გამოყენება და სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული პრაქტიკების არარსებობა

11.2 ზრდის და გაუმჯობესების რა პოტენციალი არსებობს კოოპერაციული მეურნეობების შემოღების შემთხვევაში?

- მაღამწარმოებლური სათესლე ჯიშების დაანერგვის ხელშეწყობა, საშუალო მოსავლიანობის ამაღლების მიზნით. კვლევამ აჩვენა, რომ დარგში მცირე ფერმერების მოსავლიანობა ჩამორჩება პოტენციურ შესაძლებლობებს, რაც განპირობებულია უხარისხო სათესლე მასალის გამოყენებით;
- კოოპერაციის განვითარება მცირე და საშუალო ფერმერებს შორის მათი კონკურენტული შესაძლებლობების გასაზრდელად. ერთობლივი საქმიანობა ხელს შეუწყობს თვითღირებულების შემცირებას და ბაზარზე დამკვიდრებას;

- **სამაცივრე და შესანახი მეურნეობების ქსელის განვითარება, სტაბილური მიწოდებისა და ხელსაყრელი ფასების შენარჩუნებისათვის.** მიუხედავად იმისა, რომ რეგიონში არსებობს წარმატებული შესანახი მეურნეობების მაგალითები, მათი რაოდენობა არასაკმარისია და ვერ ახდენს არსებული მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებას, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს დარგის განვითარებაზე;
- **მექანიზაციის ხელშეწყობა და ტექნიკური გადაიარაღება, მწარმოებლურობის ამაღლებისათვის.** მექანიზაციის დონე დაბალია და მისი ამაღლება კრიტიკულად მნიშვნელოვანია პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.
- **ახალი ბაზრების იდენტიფიკაცია და შეღწევა როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.** არსებობს შესაძლებლობები რათა მწარმოებელმა მიიძიონ და შეაღწიონ ახალ ბაზრებზე როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთ, დარგის განვითარებასთან ერთად გაიზრდეს საექსპორტო პოტენციალიც. სათანადო სახელმწიფო მხარდაჭერისა და ვეროსტანდარტების აქტიური დანეგვის გზით შესაძლებელი გახდება განვითარებულ ქვეყნებში ექსპორტის მნიშვნელოვანი გაზრდა.
- **საქართველოს არატრადიციული მწვანე სახეობების წარმოება.** ტრადიციული მწვანე სახეობების მიყვანის პარალელურად, ფერმერებს შეუძლიათ ასევე აწარმოონ საქართველოს ბაზრისათვის ახალი სახეობებიც, რომელთა ბაზარის ქვეყანაში ამ ეტაპზე არის მცირე ზომის, მაგრამ მზადი. ასეთი მწვანე სახეობებია: როზმრინი, ორეგანო, მწვანე ბაზილიკი და ა.შ. ამ გზით ისინი შეძლებენ არსებული მცირე შიდა მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მეორეს მხრივ საექსპორტო ბაზრებს უკეთეს ასორტიმენტს შესთავაზებენ.

12 წყაროები და ბიბლიოგრაფია

- Affinitas კონსალტინგი. 2012. საქართველოს სოფლის მეურნეობა: მწვანე სახეობების კულტურა, არსებული საინვესტიციო შესაძლებლობები, (ინტერნეტ რესურსი) ხელმისაწვდომია: <http://emerging-markets-investment-news.blogspot.cz/2012/11/georgia-agriculture-herbs-culture.html>
- Affinitas კონსალტინგი. 2013. სასათბურე მეურნეობები საქართველოში. (ინტერნეტ რესურსი) ხელმისაწვდომია: <http://emerging-markets-investment-news.blogspot.cz/2013/01/greenhouse-farming-in-georgia.html>
- საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. 2011. მწვანე სახეობებისა და სამედიცინო მცენარეების ქვე-სექტორის მიმოხილვა Herbs and Medical Plants Sub-sector Overview. (online) Available from: <http://www.guam-organization.org/attach/herbs3.pdf>
- ქარჩავა, ი. უკეთესი საბაზრო ჯაჭვები ქართველების უპირატესობისთვის. (ინტერნეტ რესურსი) ხელმისაწვდომია: [http://www.acdivoca.org/site/Lookup/WRFall04-Page8-BetterMarketChainsAgVANTAGE/\\$file/WRFall04-Page8-BetterMarketChainsAgVANTAGE.pdf](http://www.acdivoca.org/site/Lookup/WRFall04-Page8-BetterMarketChainsAgVANTAGE/$file/WRFall04-Page8-BetterMarketChainsAgVANTAGE.pdf)
- მარტინ ს. 2014. საქართველოში მწვანე სახეობების დროა. (ინტერნეტ-რესურსი)

ხელმისაწვდომია: <http://roswell.weedmanusa.com/news/thyme-for-herbs.html>

- USAID ეკონომიკური აღმავლობის ინიციატივა. 2011. ბოსტნეულის ბაზრის შეფასება. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომი ფორმა:
http://pdf.usaid.gov/pdf_docs/pnadz436.pdf
- აშშ სურსათისა და მედიკამენტების ადმინისტრაცია. 2013. ცალკეული საქონლისთვის სპეციფიკური, სურსათის უვნებლობის სახელმძღვანელო წესები ნედლი, კულინარიისთვის განკუთვნილი მწვანე ხაჭაპურის წარმოების, მოსავლის აღების, მოსავლის აღების შემდგომი დამუშავების საწარმოების ოპერირებისთვის. (ინტერნეტ-რესურსი) ხელმისაწვდომია:
<http://www.fda.gov/downloads/Food/GuidanceRegulation/UCM337902.pdf>